ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 პარასკევი, 8 დეკემბერი № 1321

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

გ ა ზ ე თ ი

„ცნობის ფურცელი"

(ც ა ლ კ ე)

ღირს წელიწადში 6 მანეთი

თვეში 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ჟურნალი „მოამბის" წლიურ ხელის მომწერელს „ცნობის ფურცელი" გაეგზავნება უფასოთ.

ტფილისის კერძო

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მატიაშოვი—თვალისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მაჭავარიანი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, შაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგიაშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოკოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დახედვისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანტინის [illegible] პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(ხდ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲙᲘ.

გუშინ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა იმ დაგირავებულ მამულების გასასყიდათ, რომელთა პატრონთ არ შეუტანიათ ხვედრი სავადო გადასახადი. სულ გასაყიდი იყო 46 მამული, რომელთაგან 44 მარტო ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა საკუთრებას შეადგენს და მხოლოდ ორი მამულია ამიერ კავკასიის სხვა გუბერნიებში. ეს მოკლე ცნობაც საკმაოდ ნათლად გვეუბნება, როგორ იჩქარის ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურობა ხელიდან გაუშვას თვისი მიწა წყალი!

როგორც კი დაარსდა ჩვენში სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება, იმერეთის თავად-აზნაურებმა მაშინვე ყურები გამოსცქვიტეს. ეხლა მოგვეცა შვება-ლხენაო და აბა ვინ მოასწრებსო! შეიქნა გაცხარებული გამიჯვნა მამულებისა, რადგანაც გაუმიჯნავ მამულს ხსენებული ბანკი გირაოდ არ იღებდა. და ყველა ვინც კი მოახერხებდა, გარბოდა ბანკის აგენტებთან არიქა, გვიშველე რამ და ეს ჩვენი მამულიც დაიგირავეო. ხოლო როდესაც აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ბანკი უფრო მეტს იძლევა მამულში, ვიდრე კერძო და წოდებრივი ბანკები, მემამულეთა მადამ შესანიშნავად იმატა და დაგირავების სურვილი გადამდებ სენივით მოედო ყველას. აღარავინ ჰფიქრობდა, შეეძლო თუ არა მამულს აეტანა დიდი ვალი; ყველა იმის ფიქრში იყო მხოლოდ, რომ მამული დაეგირავებინა და რაც შეიძლება მეტი ფული აეღო. დააგირავებდა რომელიმე მემამულე რამდენიმე ათას დესეტინას, აიღებდა უფრო მეტს, ვიდრე სხვა ბანკი მისცემდა და გუნებაში იცინოდა: აბა ჭკვიანი კაცი მე ვარ, ეს ფული ხომ ვიგდე ხელში, მამული არც-კი ღირს მაგდენ ფულად და ბანკისათვის მიჩუქებიაო. ამ შემთხვევაში მემამულენი ძალიან ჰგვანან ამერიკის იმ ველურებს, რომელნიც შუშის ნამტვრევებში ოქროს მადნებს აძლევდენ ევროპიელთ და თანაც სიცილადაც არ ყოფნიდათ „თეთრების სულელობა"...

ადგილ-მამულის მობილიზაცია ექვემდებარება მტკიცე კანონებს, რომელთა განხილვა ჩვენ აქ არ გვქონია სახეში; ამის შესახებ შემდეგში ვესაუბრებით მკითხველთ, ეხლა კი ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოება.

ის მოვლენა, რომ მიწა-წყალი ვერ შეურჩენია თავად-აზნაურობას და სხვის ხელში გადადის, არც არის სამწუხარო: იმ ელემენტს, რომელსაც ვერ გამოუყენებია ადგილ-მამული, რაც უნდა ეცადოთ, მაინც ვერ შეუჩერებთ ხელში ამ სიმდიდრეს. ისევ სჯობს, ეს განძი იმათ ხელში შეგროვდეს, ვისაც შეუძლია ეროვნული სიმდიდრის მომატება და გამოყენება. ჩვენში, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წეს-წყობილება მყარდება, იზრდება სოფლის ბურჟუაზია. ძველებური წოდებრივი მიწად-მფლობელობა ირღვევა; მიწა, როგორც საქონელი, იმის ხელში გროვდება, ვისაც ფული აქვს; სოფლის მცხოვრებნი თავად-აზნაურებად და გლეხებად-კი აღარ იყოფებიან, არამედ მიწად-მფლობელებად და მიწად-მომუშავეებად. ეს პროცესი, მართალია, ნათლად არ სჩანს ჯერ-ჯერობით, მაგრამ იგი დაიწყო და მისი შეჩერება აღარაფერს შეუძლია. ამიტომაც სრულიადაც საშიში არ არის ის გარემოება, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურობას ხელიდან ეცლება ადგილ-მამული. სასურველია და საჭიროა მხოლოდ, რომ ეს მამული ისევ ჩვენს ერს შერჩეს, ბურჟუაზია იქნება იგი, თუ გლეხობა. აი, ამ მხრით შეიძლება ხელი შეეწყოს მიწა-წყლის წესიერს მობილიზაციას. ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვართ ჯერ-ჯერობით საერთო ეკონომიურს ევოლიუციაში. ჩვენში მხოლოდ ეხლა იბადება, ეხლა იკიდებს ფეხს მესამე წოდება, ეხლა გროვდება ფული. ამიტომაც საშიშია, რომ ძველი წოდების ადგილი, რომელიც დღეს იშლება, სხვა ელემენტმა არ დაიჭიროს, სხვას არ დარჩეს მემკვიდრეობა. ჩვენის საზოგადოების მეთაურთ ჰმართებთ ამ მხრით შეეცადონ და ისე მოაწყონ საქმე, რომ „ლუკმა ისევ ჯამში ჩავარდეს".

ამგვარი ცდა საჭიროა, მაგალითად, იმგვარ შემთხვევაში, როგორიც არის იმერეთის თავად-აზნაურობის მამულების გაყიდ-

ფელეტონი

ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲝᲑᲐ

(ესკიზი)

(დასასრული*)

როსტომი დღევანდელი დღე სოფელში დააჩანჩალებდა დათიას ხარ-ურემის სანათხოვრებლად, რომ ხვალისთვის რკინის გზის სადგურზედ ჩაეყვანინებინა ცოლ-შვილი და იქიდან შეგულებულ ადგილებში წასულ-წამოსულიყვნენ.

— არავინ გვათხოვა ურემი! გამოაცხადა ოთახში შემოსულმა დათიამ საღამოს.

ქალიშვილებმა მიანებეს თავი თავიანთ ფუთების კვრას და ყველანი დათიას შემოეხვივნენ ერთი ქაქანით და საყვედურებით.

— ამიტომ მძულს აქ მოსვლა!... თითქო ბაწარჩაბმულივით უნდა იყვე რაკი მოხვალ!... წასვლა აღარ გეღირსება!... წამოიძახა უფროსმა ქალიშვილმა თალიკომ.

— მე რომ ზეგ ქუთაისში არ ვიქნე, თავი უნდა მოვიკლა! თითქის განწირულებით წარმოთქვა ლამაზმა ნატალიამ, რომელიც საზამთროდ მიდიოდა თავის ერთ ამხანაგთან, რომლის დღეობას იხდიდა ზეგ.

— დაწყნარდით, დაწყნარდით!... თქვენ თქვენი საქმე ქენით!... ყველა ერთად წავალთ ხვალ... ნუ გეშინიათ!... უთხრა ამათ შენძრევაზე ოთახიდან გამოსულმა მარიამმა,—მოემზადენით, არაფერი დაგავიწყდეთ, რაც წასაღები გაქვთ!.. ბიჭო, ამდენი ხანი იარე და ერთი ურმის შოვნა ვერ მოახერხე?!—მიჰმართა მარიამმა დათიას.

— შე დალოცვილო ყველა საქნარს ჰკიდია... ყველას თავ-თავისი ხარ-ურემი ჰკირდება!.. უქმად კი არ სხედან ისე!—უკმაყოფილებით მიუგო დათიამ.

— კაი, კაი!—გააწყვეტინა სიტყვა მარიამმა და ქმარს მიუბრუნდა იქვე ტახტზე წამოწოლილს:—შენ ეგებ იშოვო, როსტომ, ურემი... ეგებ ვინმემ გვათხოვოს!.. შენ რომ ეტყვი, შენ ხათრს უფრო დასდებენ!..

როსტომი თავდაპირველში არც კი გაინძრა, მხოლოდ თავი გადიაქნია—არაფრად დარწმუნებული იყო, რომ მას ხათრს უფრო დასდებდა რომელიმე მისი მეზობელი გლეხიც.

— ადექ, ადექ!.. ნუ დაიზარებ!

როსტომი წამოდგა, მოითხოვა ჯოხი. ისე როგორც იყო, ახალუხის ამარა დააპირა წასვლა ცოლის სიტყვის აღსასრულებლად.

— ტყვილა მიდიხარ!.. ვერ იშოვი!—გულმოსულად გააყოლა სიტყვა დათიამ,—ქეც რომ ყავდეს, მაინც არ გვათხოვებენ!

— რას, სულელობ, ბიჭო?!—გაუწყრა მარიამი.

— არ გათხოვებენ იმიტომ, რომ იციან ბევრი ხართ წამსვლელი და არავინ ხარებს არ დაგალალვინებთ ტყვილა!., ა, ნახავთ აბა! ნაწილ-ნაწილად წასულიყავით,—აჯობებდა!

— გაწყვა შენი ენა!—მიაძახა გაჯავრებით უნცროსმა ქალიშვილმა და ოთახიდან გავიდა, რომ აღარ გაეგონა გულის გამწყალავი დათიას სიტყვა.

— შენ რჩევას ახლა არავინ ჰკითხავს!—შეუტია ისევ მარიამმა მოხუცებულ მოსამსახურეს და ესეც გაშორდა.

დათიას სიტყვა გამართლდა: ხარ-ურემი ვერც როსტომმა იშოვა. მარიამიც და ქალიშვილებიც ერთობ აწრიალდნენ: ყოველივე დაწყობილება ეშლებოდათ. მარიამსა და თალიკოს ერთად მიმავალთ, დღეული, სადგურზე [illegible] ელოდდა და რადგან ისინი აღარ მივიდნენ, მეორე დღისათვის იმას აღარ მოუცდინა. პეტრეს და ვარიასაც შეეძლოთ ამგვარივე მდგომარეობაში ჩავარდნილიყვნენ და სამებრად გახდომოდნენ წამყოლს, მამიდა მათამდინ, სადაც ესენი მიეშურებოდნენ; ნატალია კი ჩაუსწრებდა ერთი დღეც რომ დაგვიანებოდა, მაგრამ დაღალულ-დაქანცულს მოსვენება დაეჭირდებოდა, რომ მოლხენაში წესიერი მონაწილეობა მიეღო. ამდენი საქმის გაბრუნდება, რასაკვირველია, ისე თავმისანებებელი არ იყო და ამიტომაც ყველა ერთობით საშველი გზის გამონახვის თაობირში მწუხარე მონაწილეობას ღებულობდა. ამასობაში ერთობ ბევრი ჩაქცევა და ჩანგრევა უნატრეს საზოგადოდ სოფელ ადგილებს და განსაკუთრებით თავიანთ საკუთარ სოფელს. დაბოლოს, მარიამის რჩევით გადასწყვიტეს დილით ადრე აედგარიყვნენ, ფუთები დათიასათვის აეკიდნათ, თავად კი ფე-

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 1318.

ვა ტფილისში, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ვინ შეიძენს იმ მრავალ მამულს, რომელიც ყოველ წლივ გაიყიდება აქ საჯაროდ? ეს საკითხი ჩვენ მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია, და ვგონებთ—იმერეთის თავად-აზნაურობის მეთაურებმა უნდა იფიქრონ რამე მის გარდაწყვეტისათვის ქვეყნის საკეთილდღეოდ. ცხადია, იმერელ აზნაურისა ან გლეხისა და იმერელ ვაჭრისათვის მეტად ძნელია ტფილისში მოვიდეს დაგირავებულ მამულის საყიდლად და, საზოგადოდ, თვალ-ყური ადევნოს ამ საქმეს იმერეთიდან. ამ საქმეში მას მძლავრი მეტოქე აქვე, ტფილისში, გამოუჩნდება,— —ესე იგი, სრულიად უცხო ელემენტი ჩვენებურ სოფლისათვის... რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ჩვენებურსავე მემამულეთ და ვაჭართ შევუწყოთ ხელი ადგილ-მამულის შეძენის საქმეში. დღეს ყველამ იცის, თუ როგორ ეტანება იმერელი გლეხი და ვაჭარი სოფლის მამულის შეძენას; თუ ეს ასეა, საჭიროა გავუადვილოთ მათ ეს საქმე! ერთ ამგვარ გასაადვილებელ საშუალებად იქნება—სახელმწიფო ბანკში დაგირავებულ მამულების გაყიდვის გადატანა ტფილისიდან ქუთაისში. ჩვენის ფიქრით, იმერეთის თავად-აზნაურობამ უნდა ითხოვოს ეს სადაც ჯერ არს, და ეჭვს გარეშეა, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამას წინათ სამხრეთ-აფრიკაში ვარჩესტერში მოხდა აფრიკანდერთა კრება. კრებაზე ბევრი შესანიშნავი სიტყვები ითქვა შესახებ ორივე რესპუბლიკების მდგომარეობისა, მათი მომავლისა, ინგლისის ქცევისა და სხვა. ამავე კრებაზე, გერმანული გაზეთების სიტყვით, კრონრაიტ შნეიდერმა შემდეგი სიტყვა სთქვა:

«ინგლისს არა ჰსურს სამართლე გაიგოს და სამართლიანად მოიქცეს. სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებთან უსამართლო მოქცევით ინგლისმა ნამდვილად გაიტანა ღელო უსინდისობისა და სიბილწისა».

შემდეგ შნეიდერმა ილაპარაკა შესახებ იმისა, თუ რა მხეცურად ექცეოდნენ ინგლისელი ჯარის კაცები ბურების დედაკაცებსა და ბავშვებს; თუ რა დაუნდობელს, ცეცხლისა და მახვილის სისტემას მისდევდა ლორდ როზბერი და ეხლაც მისდევს ლორდ კიტჩენერი, მოიგონა ის ფაქტიც, რომ ბარკლაი ვესტში დედაკაცებიც კი დახვრიტეს თოფითაო. შნეიდერმა იმედი განაცხადა, რომ ინგლისი თავის დღეში ვერ მოეწევა თავის მიზანსაო. აფრიკანდერები არ მოისვენებენ, არ დასცხრებიან, თუ ინგლისი ორივე რესპუბლიკებს დაიპყრობს,» შნეიდერის სიტყვას ხშირად სწყვეტავდნენ ძლიერი ტაშის კვრით.

შემდეგ შნეიდერს უთქვამს:

«ყოველ შემთხვევაში გუბერნატორი კაპის ახალშენისა მილნერი უნდა დათხოვნილ იქმნეს თავის თანამდებობიდან, მით უფრო, რომ ეს კაცი თითქო თავის მოვალეობად სთვლის ყოველ მარჯვე შემთხვევის დროს აწყენინოს და გული ატკინოს აფრიკანდერებს. სანამ ეს კაცი არ მიატოვებს სამხრეთ-აფრიკას, მშვიდობიანობის დამყარება ყოვლად შეუძლებელია. არც ერთ კაცი, სესილ როდსის გარდა, არ შესძაგებია ისე ხალხს, როგორც მილნერი».

შემდეგ სხვა ორატორებმა ილაპარაკეს. ფრანგის მღვდელმა კოლმემ განაცხადა, რომ აფრიკანდერები სხვას არას ნდომობენ, გარდა იმ უფლებათა დაცვისა, რომელნიც მათ მინიჭებული აქვთ სახელმწიფო კონსტიტუციის ძალით. თუ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნება, მაშინ ინგლისს არც ერთი ჯარის-კაცის ყოლა აღარ დასჭირდება სამხრეთ აფრიკაში, რადგანაც მაშინ აფრიკანდერები ინგლისის გულისათვის თუნდა მთელ მსოფლიოს წინააღმდეგ გამოიდებენ თავსა.

∝ ინგლისელები მოუთმენლად ელიან, როდის დაიჭერენ ნიჭიერ გენერალს დევეტს, რომელმაც ნამდვილად საქმე გაუჭირა ინგლისის გენერლებს. დაჭერას ვიღა ჩივის,—ეხლა ამბავი მოსულა ლონდონში, რომ დევეტს საშინლად დაუმარცხებია გენერალი ნოქსიო. ინგლისის მთავრობა არავის უმხელს ამ ამბავს, მხოლოდ პარლამენტის სხდომების გათავების შემდეგ გამოაცხადებენ მას.

∝ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების სელჩოების მინდობილებით, «რეიტერის სააგენტომ» გადაწყვეტით გამოაცხადა, რომ ინგლისური და სხვა ქვეყნების გაზეთების მიერ გამოცხადებული ამბავი, ვითომ რუსეთის მთავრობამ უარი შემოუთვალა კრიუგერს მიღებაზედაო, მოკლებულია ყოველს საფუძველს.

∝ ლორდ რობერტსის სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებაზე შემდეგს სწერენ ინგლისურ გაზეთებში:

«ლორდი რობერტსი დაბრუნდება ლონდონში 3 იანვარს (ახალი სტილით), რკინის გზის სადგურზე მას დაუხვდება უელსის პრინცი; ამასთან ერთად სადგურიდან რობერტსი წავა წმიდა პავლეს ტაძარში, სადაც დიდებულად გადაიხდიან სამადლობელ პარაკლისს სამხრეთ-აფრიკაში ინგლისის გამარჯვებისათვის. ამ პარაკლისზე დაესწრობა აგრეთვე უელსის პრინცესსა. ლონდონი მდიდრულად იქნება მორთული ბაირაღებით. ამ დღესასწაულის და გამარჯვების მიზეზს — ლორდ რობერტს - დიდის ამბითა, გამოჩინებით და სამხედრო პატივით მიაცილებენ თავის სადგომამდე.

∝ როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ პასუხი გასცა «ტაიმს»-ში გამოცხადებულს ცნობას, ვითომ და საფრანგეთი ომის დაწყების წინად დაჰპირებოდეს ტრანსვაალს «ზნეობრივ და ქონებრივ შემწეობასო». საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის, დელკასსეს მინდობილობით გაზეთ «სტანდარტ»-ში გამოცხადებულია, რომ გაზეთ «ტაიმს»-ის მთელ წერილში ერთი მართალი სიტყვაც არ ურევიაო. თვით ის ცნობაც კი, რომ ვითომ დოქტორ ლეიდსს ნება ჰქონდა მიცემული ესარგებლნა საფრანგეთის მთავრობის საიდუმლო შიფრით, ტყუილია. როდესაც ლეიდსმა ერთხელ ითხოვა ამ შიფრით რაღაც კერძო ცნობის გაგზავნა პრეტორიაში, მან მტკიცე უარი მიიღო.

სხვა პარიზელი გაზეთებიც, რომელნიც დაახლოვებულნი არიან მთავრობასთან, აგრეთვე გადაწყვეტით უარჰყოფენ გაზ. «ტაიმს»-ის ცნობას.

✕ რეიხსტაგის ერთ-ერთ სხდომაზე, ბიუჯეტის განხილვის დროს, სიტყვა ჩამოვარდნილა, სხვათა შორის, ტრანსვაალზედაც. ყველაზე საყურადღებო მკაცრი სიტყვა წარმოუთქვამს დეპუტატს ბებელს.

ბებელი თავის სიტყვის დასაწყისში შეჰხებია ჯერ გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობას, რომელიც, მისის აზრით, უფრო და უფრო ცუდდება რეიხსტაგისა და მეტადრე ცენტრის დასის წყალობით. შემდეგ დეპუტატი გაკვრით შეეხო ჩინეთის ამბებს; ჩინეთში, ბებელის თქმით, გერმანიას გაუჩნდება ტრანსვაალის მსგავსი მტერი. ბოლოს ორატორი გადავიდა ტრანსვაალზე.

«ჩემი მეგობრები და მე,—სთქვა მან,—გუშინ საოცარ მდგომარეობაში ვიყავით: ჩვენ ვეთანხმებოდით თითქმის ყოველ სიტყვას, რაც კი საიმპერიო კანცლერმა სთქვა ინგლისისა და ტრანსვალის თაობაზე.

მე სრულიად თანახმა ვარ, რომ ინგლისთან მეგობრულად უნდა ვიყვეთო. ეს, რასაკვირველია, იმას არ ჰნიშნავს, რომ ინგლისი თავზე დავისვათ და ან რითიმე შევიზღუდოთ ჩვენი თავისუფლება. მართალია გერმანიის ერის და მთელი ქვეყნიერობის ინტერესები მოითხოვენ ჩვენგან მეგობრობას ინგლისთან, მაგრამ მაინც ინგლისელების ქცევა ტრანსვაალში ძრიელ გასაკიცხია. ჩვენ პრესსას და თითონ მე არა ერთხელ დაგვიწერია წინააღმდეგ ინგლისის სამხედრო სისტემისა. მე მას ვსთვლი ბარბაროსულად და საერთაშორისო უფლების წინააღმდეგად. მე ვკიცხავ აგრეთვე—და აი ამ მუხლში მე არ ვეთანხმები ჩვენ კანცლერს—იმ ულმობელ უარს, რომელიც შეუთვალეს მოხუც კრიუგერს, რადგანაც ეს ვერაგულ ხასიათს აძლევს ჩვენ პოლიტიკას. უარი არ შეიძლებოდა, სიბრალულისა და ზრდილობიანობის გრძნობა ითხოვდა, რომ კრიუგერი უსათუოდ მიგვეღით; ეს საჭირო იყო, ამას მოითხოვდა კაცთ-მოყვარეობა და ჩვენი მოვალეობა.

საზღვარ-გარეთაც ძალიან გაჰკიცხეს ამ უარისათვის. ამსტერდამის ერთი გაზეთი ამაზე საფუძვლიანად ამბობს: «გერმანიის იმპერატორს ჰშინებია ღვთისა და თავის ბებიისა (ინგლისის დედოფალი ბებიაა იმპერატორ ვილჰელმისა).

შემდეგ ბებელმა ილაპარაკა ჯარის შესახებ: ეხლა ამბობენ, რომ ახალი იარაღის შემოღებას აპირობთ, კიდეც გამოგიცდიათ ახალი ზარბაზნებიო; მე ვეკითხები საიმპერიო კანცლერს, მართალია ყველა ეს თუ არა. შემდეგ ხმები დადის, ვითომ გერმანიის ერთი სავაჭრო ფირმა უზიდავდეს ინგლისს ახალი სისტემის ზარბაზნებს ბურების საბოლოოდ ამოსაწყვეტად.

მე გეკითხებით: აბა როგორ შეესაბამება ყველა ეს ნეიტრალიტეტს? ჩვენ ამაში ვხედავთ იმავე ამბავს, რაც ჩინეთში ხდება. კრუპპი ჩინეთში ჰგზავნის მსწრაფ-მსროლელ ზარბაზნებს, სწორედ ისეთებს, როგორებითაც ჩინელებმა გაგვიწყვიტეს ჯარი და წაგვიხდინეს გემი «ილტისი».

ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა დაამტკიცა საადგილ-მამულო და სახელმწიფო საიჯარო გადასახადების განაწილება 1901—1904 წლებისა. ორივე ეს გარდასახადი, როგორც იციან მკითხველებმა, მომავალ წლიდან იქმნებიან შემოღებული ჩვენში.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს შეუწირავს 500 მანეთი ეკკლესიისათვის, რომელიც უნდა აშენდეს ტფილისის სადგურის ახლოს, იქ, სადაც სურამისა და ბატარეის ქუჩები ერთმანერთს უერთდებიან.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ზედამხედველი საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებისა ნიკოლოოზ გაბრიელის ძე ტატიშვილი უწმიდესმა სინოდმა ამ თანამდებობიდან გადაიყვანა სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად.

✦ ყოვლად სამღვდელო კირიონმა მოახდინა განკარგულება, რომ წმიდა სანთელი, გასასყიდად მომზადებული, ეკკლესიურის ტიბიკონის ძალით, უსათუოდ უნდა აკურთხონ და ისე გაუშვან როგორც ეკკლესიებში, ისე ბაზარში გასასყიდად.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების“ შუამდგომლობას ხსენებულ საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

✦ „ნადეჟდას“ თავშესაფარს დაენიშნა მთავრ-მართებლისაგან 100 მან. შემწეობა.

✦ დღეს დაიწყება ინჟენერ-გიდრავლიკების კრება, წყლების ინსპექტორის, ბ. პეტროვის თავმჯდომარეობით.

✦ რადგანაც კბილის ექიმობის უფლების შეძენის წესი შეიცვალა, საექიმო დეპარტამენტმა მიჰმართა გუბერნატორებს თხოვნით, რათა მათ შეატყობინონ ადგილობრივ ექიმებს, კბილის ექიმებს და დანტისტებს, რომ მათ, ახალის კანონის ძალით, არ აქვთ უფლება აიყვანონ მოსწავლეები დანტისტა მომზადებისათვის.

ხით ევლოთ სადგურისაკენ მიმავალ გზაზე მცხოვრებ პელოს ნათლიის სახლამდინ, საიდაც უსათუოდ ხარ-ურემსაც იშოვნიდნენ და სადგურზედაც დროით ჩაასწრებდნენ მაინც. კიდევაც ასე ჰქმნეს მეორე დღეს.

საღამო იყო, დათია რომ სადგურიდან ამოვიდა. მოწყენილი როსტომი ბუხარს უჯდა და ნაქურის ცეცხლზე ეფიცხებოდა, დაღალული მოხუცებული მასთან რომ შემოვიდა.

— ჩაიყვანე? ჰკითხა როსტომმა და თან ჩიბუხის ტარის პირიდან გამოუღებლად გვერდზე გააპურჭყა.

— ჩავიყვანე! მიუგო დათიამ, მიუყუჟდა ბუხარს და გაციებულ ხელებს თბობა დაუწყო.

— კარგი ქნეს ფეხით რომ წავიდნენ, თორემ სარბენი გვექნებოდა საქმე, სანამ არ გავისტუმრებდით! თქვა როსტომმა.

— აბა, რა... მოგვეშვებოდნენ თუ!

— ხომ არაფერი დაუბარებიათ, დათია? ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა როსტომმაც და ესეც უფრო იმისთვის, რომ დათიასთან ლაპარაკში გაბმულიყო, თორემ მისთვის სულ ერთი იყო—თავს არ გაიტეხვიდა, კიდევაც რომ დაებარებინათ, მისი ასრულებისათვის.

— შენთან არაფერი!

— აბა ვისთან, ბიჭო?

— მე დამიბარა ქალბატონმა... თუ დამაგვიანდესო, თავის დროზედ საბუდრები მომწენიო და ქათმები დააჯინეო... ზაფხულში დაგვჭირდებაო, ეგებ სტუმრიანობა შეგვხდესო.

— მომწენი და დააჯინე, მერე! და როსტომმა ისევ ზარმაცად გააპურჭყა.

მუსაიფი ისევ შესწყდა. დათია ახლა დაჯდა დაბალ სკამზე და ბატონიც და მოსამსახურეც ხმა-ამოუღებლად უსხდნენ ცეცხლს.

— უვახშმოდ ვრჩებით, ბიჭო, ამაღამ!?..— თქვა დაბალის ხმით როსტომმა.

— აბა ვინ გააკეთებდა... მე გზაში ვიყავი! მიუგო დათიამ.

— აბა რაღას ვუყუროთ... დავწვეთ ბარემაც და ის იქნება!.. დილას, თუ კაცი ხარ, ცოტა ზაკუსკა მომიხერხე რამე!..

— კარგი!—უპასუხა დათიამ.

როსტომი წამოდგა, გაიზმორა, მერე ზურგი მიუშვირა ბუხარს და, რა იგრძნო აქედანაც გათბა, მძიმედ გასწია ტახტისკენ, რომელზედაც დათიამ ქვეშაგები გაუწყო და გაეგო ზედ.

ასეთ გდებაში უნდა ემოკლებინა უხალისოდ მიმდინარე სიცოცხლის დღენი პატიოსან აზნაურს, დიდებულ სახლთხუცესის მანველიძის ჩამომავალს; თითქმის გდებას კარგად შეეჩვია კიდევაც, მაგრამ ხანდახან ისევ გაიღვიძებდა ამ დაჩონჩილ არსებაში ადამიანი და შესაბრალისად მიჰმართავდა მაშინ იგი თავის დათიას.

— ასე ვიყვეთ, ბიჭო, სულ?

— აბა რას იზამ?—შეეკითხებოდა ერთგული მოსამსახურე, ერთად ერთი არსება, რომელსაც გულით ებრალებოდა იგი.

— მოდი ჯორი შემიკმაზე... გევლი მეც ერთი სადმე.. მეც მომწყინდა, ბიჭო!..

— შეგიკმაზავ!

შეჯდებოდა თავის გამხდარ ჯორზედ როსტომი, მიადგებოდა რომელსამე თავის ძველ ნაცნობს ან ნათესავს, მწარე გულით მონდომებული ძველებურათ მოელხინა და ღვინის სმაში ყმაწვილებთან შებმულიყო, მაგრამ ყოველგვარად დაკლებულობასთან ღვინის სმის უნარი მოესპო, ისე რომ მეორე-მესამე სტაქანზე უკვე მთვრალი იყო დ მეოთხზედ ძილი ეკიდებოდა გარეტიანებულ

მეორე დღეს შინ დაბრუნდებოდა და ის უნდა გდებულიყო. ხანდახან დათიასთან თ ორიოდე სიტყვით შეინაცვლებოდა, სან ადამიანი არ გაიღვიძებდა მასში და ამ გამო ყრუებულ სახლიდან ფეხს არ გადაადგმე ნებდა.

ასეთი ცხოვრება ხვდა საწყალ როსტ მანველიძეს, რომელსაც აღარც სახლთხუცე ჯავრი აქვს, აღარც მარშლებისა, აღა ბანკისა, აღარც ოჯახისა, რადგან ყველაფე რი დაკარგული შეიქმნა მისთვის; აღარასფე დაეძებდა, აღარასფერით აღარ აწუხებ თავის ცოლშვილსაც კი აღარ კითხულობ სად იყვნენ ან როდის მოვიდნენ, თხოვ ბოდნენ, თუ ისე ბერდებოდნენ ქალიშ ლობაში.

ამგვარ გულისყოფამდინ მისაღწევად ბ რი რამ გადახდა როსტომს, მართალია, მ რამ, მაგიერად, ახლა ძრიელ მოსვენებ და არაფერზე არა სწუხს.

1900 წ. 20 ნოემბერი.

დავ. კლდიაშვილი

✦ როგორც იტყობინებიან, ღვინის ფასი კახეთში კიდევ მატულობს, რადგანაც ადგილობრივ მემამულეთ ცოტა ღა დარჩათ ღვინოები.

✦ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ წინარეხის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ვლადიმერ ცეცხლაძე, რომელსაც მიმდინარე წელს სასულიერო სემინარია დაუმთავრებია.

✦ განზრახვა აქვთ, თიონეთში ააშენონ საპატიმრო იმ დამნაშავეთათვის, რომელნიც გასამართლებულნი იქმნებიან მომრიგებელ მოსამართლისაგან. საპატიმროში სამი განყოფილება იქმნება: ერთი — მამაკაცებისათვის, მეორე — დედაკაცებისათვის და მესამე თავად-აზნაურთათვის. შენობას მოუნდება 5270 მანეთი. წლიური ხარჯი საპატიმროს მართვა-მოწყობისა 540 მან. უნდა დაჯდეს.

✦ „ნოვ. ობ.“-ში ვკითხულობთ, რომ ბ. ერიცოვი, კავკასიის სიძველეთა ცნობილი მკვლევარი, მძიმე ავად გამხდარა.

✦ ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზედ, სცენის მოყვარეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტების ქ.ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, ნემიერიძისა, მდივანისა და ბ-ნ ს. სვიმონიძის მონაწილეობით, წარმოადგინეს ამ სეზონში მეორედ მელოდრამა „ორი ობოლი“, თარგმანი ა. ცაგარლისა. წარმოდგენას ხალხი, როგორც ყოველთვის, იმდენი მიაწყდა, რომ ბევრი უადგილობისა გამო, უკანვე დაბრუნდნენ.

✦ უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, 25 მანეთიანი, თუმნიანი და 5 მანეთიანი ქაღალდის ფული 1887 წელს გამოსული და აგრეთვე 1866 წლის 100 მანეთიანი ყველგან მიიღებიან 1902 წლის 1-ლ იანვრამდე.

✦ გუშინ, 7 დეკემბერს, სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა საქმე თავ. ა. ჯორჯაძისა, დაადგინა საყვედური გამოეცხადოს მას. დაწვრილებით ამ საქმეს ხვალ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

✦ სამშაბათს, 5 დეკემბერს, პოლიციის მე-6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩინანის ბაღიდან წაიყვანეს ქალაქის პასტერის ასაკრელ სადგურში ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის მცხოვრები ბესარიონ მაქსიმეს ძე ოჩხიკიძე, რომელსაც გამოაჩნდა საშინელი ნიშნები გაცოფებისა; რადგანაც ასაკრელ სადგურში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, გაცოფიანებული ოჩხიკიძე მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ საწყალი ოჩხიკიძე გზაშივე გარდაიცვალა. ოჩხიკიძე წარსულ წელში ტფილისის მაზრის სოფელ თელეთში დაუკბენია ცოფიან ძაღლს.

✦ როგორც სადგურ ავჭალიდან იტყობინებიან, 7 დეკემბერს მეისრემ საქონლის მატარებელი № 165 გაუშვა იმ ლიანდაგზედ, რომელზედაც სადგურისაკენვე მოდიოდა საქონლის მატარებელი № 163. მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ და დაიმტვრა 15 ვაგონი. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. გზა გაფუჭებულია და შეკრული დამსხვრეული ვაგონებით.

✦ გუშინ, 7 დეკემბერს, ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ვ. ასრიევისა, რომელსაც ბრალად ედება თავის შეშის საწყობიდან შეშის გაყიდვა მცირე საზომით. საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე და დაადგინა: დამნაშავედ იქმნას ცნობილი ვ. ასრიევი სიყალბის ჩადენაში შეშის გაყიდვის დროს და მიესაჯოს ერთი თვით ციხეში დატუსაღება, 25 მანეთი ჯარიმის გარდახდევინება და სამუდამოთ აღეკრძალოს ვაჭრობის უფლება.

✦ გუშინ, 7 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილის საპატიო მოქალაქის სოფიო ზაქარიას ასულის ბაბანასოვისა, ქუთაისის გუბერნიის აზნაურის მარიამ იოსების ასულის გოცირიძისა და ქ. ბაქოში მცხოვრების ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლის აშხენ ზაქარიას ასულის პირადოვისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებოდათ. ოლქის სასამართლომ განაჩენი საღამოს 6 საათზე გამოუცხადა, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო სასამართლომ ბრალდებულნი აღნიშნულ საქმეში და გაამართლა იგინი.

დაწვრილებით საქმის გარემოებას ხვალ დავბეჭდავთ.

✦ რაჭის მაზრის მცხოვრები ლუკა დვალი, რომელსაც ბრალად ის ედება, რომ მან ტფილისის მცხოვრებს ტერ-სიმონიანცს 41 მანეთი მოჰპარა და რომელიც აქამდე იმალებოდა, პოლიციამ სამშაბათს, 5 დეკემბერს, უკვე დააპატიმრა პოლიციის მეორე ნაწილში. დვალი პასუხისგებაში იქმნა მიცემული.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ორშაბათს, ამ თვის 4, ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურს კანტორაში, სამ საათზე, მოსულა ერთი ყმაწვილი კაცი და მორიგე მწერალისათვის უთხოვნია მეტრიკის ცარიელი ბლანკი მომეცი და ზედ კანტორის ბეჭედი დაასვი და ბევრს ფულს მოგცემო; მწერალს სრული უარი განუცხადებია, მაშინ იგი დამუქრებია, არავის უთხრა, რაც მე გითხარიო და წასულა. მწერალმა მთავრობას განუცხადა ეს ამბავი, მეორე დღეს, 5 დეკემბერს, კვალად მოვიდა ის მთხოვნელი; კანტორის მთავრობამ დაინახა, რა იგი საეჭვო პირად, პოლიციას გადასცა.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „საღმრთო ისტორია ძველი ღ ახალი აღთქმისა“, სურათებით, შედგენილი გ. იოსელიანის მიერ, გამოცემული ზ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა. წიგნში 124 გვერდია და ღირს 40 კაპ.

პროვინცია

დ. ზესტაფონი. წარსულ ნოემბრის 26 დ. ყვირილაში მოხდა ადგილობრივი წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა წლიური კრება. კრებაზედ საკმაო რიცხვი გამოცხადდა წევრებისა და კრებაც გაიხსნა გ. ბოკერიას თავმჯდომარეობით. სანამ კრების ანგარიშს განვიხილავდეთ, მგონი მეტი არ იქნეს აქაური სამკითხველოს ისტორია გავაცნოთ მკითხველთ.

პირველად სამკითხველო ყვირილაში დაარსდა ბ.ბ. თეოფილე ხუსკივაძის, ალექსანდრე არაბიძის-სერგო ჯინჭველაშვილის და სხვების მეცადინეობით და მეთაურობით 1894 წ., თუ არ ვსცდები... სამკითხველო პირველად მოთავსებული იყო ბ. ალექსანდრე არაბიძის სახლში, სადაც ის თვითონ უვლიდა და ჰპატრონობდა მას, როგორც ყველგან, ისე აქაც ახლად დაწყებული საქმის გაძღოლა გაჭირდა, და თუ არსებობდა რამე, ისევ ა. არაბიძის წყალობით.

ნება-რთვა იყო აღებული ბ. თეოფილე ხუსკივაძის სახელზედ; იმ ხანებში ბ. ხუსკივაძე ქუთაისში გადასახლდა და როდესაც ეს გაიგო მაშინდელმა ბოქაულმა წერეთელმა, სამკითხველოს კარები გამოუხურა. დაიხურა იმ დროს, როდესაც სამკითხველოს ვალი 60 მ. ედვა და ეს ფული კი სულ ალექსანდრე არაბაძის ჯიბიდან იყო ამოსული. კარგა ხანი იყო სამკითხველო ამ მდგომარეობაში, და ბოლოს, როგორც ქნა, მოახერხეს აქაურმა ახალ-გაზდებმა ახალი ნება-რთვის აღება. მეთაურობდა ამ საქმეს ბ. სამსონ ელიაშვილი. სამკითხველოს გამგე წევრებად ამორჩეულ იქმნენ: სამსონ ელიაშვილი, ვარდენ ჩხაიძე და სერგო ბახტაძე.

გასულის წლის ბოლოს, სამკითხველოს ვალად წამოედვა 200 მანეთამდე. მოხდა საზოგადო კრება და ნაცვლად ჩხაიძისა და ბახტაძისა, რომელნიც მხოლოდ სახელათ იყვნენ გამგე პირები, არჩეულ იქმნენ: ივანე არდიშვილი და ი. მაღლაკელიძე. ახალ გამგეობას, გარდა ძველი ვალისა, უნდა გაესტუმრებინა ახალი მომავალი ხარჯი 300 მანეთი. დამეთანხმებით, ძნელი საშოვნია 500 მ. იმისთანა დაბაში, როგორიც ყვირილაა. მაგრამ ყველა ამ დაბრკოლებას სძლია ბ. ივანე არდიშვილმა, მხოლოდ არდიშვილმა, რადგანაც ბ. ელიაშვილი ბათუმში გადასახლდა და მაღლაკელიძე კი შესამჩნევ დახმარებას ვერ უწევდა საქმეს. თუმცა ნივთიერად ამ წელიწადში სამკითხველო უზრუნველ ყოფილი იყო, მაგრამ სამკითხველო შინაურ საქმეებში-კი წესიერად არ მიდიოდა. ორჯელ გაძარცვეს სამკითხველო: ერჯელ ფულიანი ყულაბა მოიტაცეს და მეორეთ კი ფუთობით გაზეთები გაჰქონდეს. ის ვაჟბატონი, რომელმაც გაზეთების გაყიდვა ინება, დღესაც სამკითხველოში არხეინად დაიარება, და გამგეობას ვერც-კი მოუხერხებია, რომ ამისთანა მავნე პირი სამკითხველოს მოაშოროს.

წარსულ ნოემბრის კრებაზედ ბ. ვ. არაბიძე შეეკითხა გამგეობას ამის თაობაზედ, მაგრამ გამგეობამ რაღაც ლუღლუღით გასცა პასუხი და ერთი წევრი გამგეობისა მაღლაკელიძე, იმასაც კი ამტკიცებდა, რომ წევრების საქმე სრულებითაც არ არის ესო... საჭიროა გამოირკვეს საქმის გარემოება...

ახალ კრებაზედ იყო წამოყენებული სამი საყურადღებო საკითხი:

1) სამკითხველოს კვირა დღეობით დაკეტვა,

2) თეატრის გადაცემა სამკითხველოსათვის,

და 3) ზესტაფონის განათების და გასუფთავების იჯარით აღება სამკითხველოს სასარგებლოდ.

უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამკითხველო კვირა დღეებში ნაშუადღევის 3. საათ. შემდეგ დაიკეტოსო... ეს გადაწყვეტილება დიდი შეცდომაა, რადგან ზესტაფონში მკითხველები მარტო უქმე დღეებშია. მეორე კითხვა, თეატრის გადაცემის შესახებ, უყურადღებოდ იქნა დატოვებული, რადგან თეატრის გამგემ განაცხადა, რომ, «როცა გაძღიეთ და გეხვეწეთ, იზუქეთ და მოუარეთ, მაშინ არ ინებეთ, საქმე გააჩიანურეთ და ეხლა თავს ნუღა აწუხებთო...

მართლაც, ძალიან საკვირველია გამგეობის ამ ნაირი საქციელი! კაცი საჩუქარს იძლევა და შენ კი არ იღებდე: ამ ნაირი უთავბოლობით სამკითხველომ დაკარგა, 400 — 500 მ. ღირებული ნივთები და რამოდენიმე თუმანი ნაღდი ფული, რომელიც ამ ჟამად თეატრსა აქვს.

მესამე კითხვა წარმოდგენილი იყო ერთი წევრის მ გ — ძეს მიერ. გამგეობის წევრებს ამ წინადადებაზედ დაეწერათ «მოუხერხებელიაო» წინადადების ავტორმა განმარტა, რომ აქ სამარცხვინო არა არის რა და სამკითხველოს წელიწადში მოგება დარჩება არა ნაკლები 200 მანეთისა. ამ კითხვამ ცხარე კამათი გამოიწვია; ყველა, გარდა სამი კაცისა, პროექტს ემხრობოდა ბ. იოსელიანი დაჟინებით გაიძახოდა, რომ ძალიან სამარცხვინო საქმეს ვკიდებთ ხელსო. «გაწმენდა!.. ფიე. ფუ! ტფუ! საზიზღრობააო».. და სხვა. წინაამდეგ სამი ხმისა მთელმა კრებამ დაადგინა აღებულ იქმნას იჯარით გაწმენდა-განათება, და ამოირჩიეს კომისია ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად. კომისიაში ხუთი კაცია ამორჩეული, მათ შორის ერთი გამგეობის წევრი ვ. არდიშვილიც, და როგორც შევიტყვეთ, ყველანი გულით არიან მოწადინებულნი, რომ საქმე საუკეთესოთ წაიყვანონ. კომისიის მოქმედებას შემდეგ გავაცნობ მკითხველთ. ამით დასრულდა სამკითხველოს კრება და გამგეობის წევრების ამორჩევა გადადებულ იქმნა იანვრისთვის.

მანოელიძე

კახეთი. სწორედ დაწყევლილია ეს წელიწადი კახეთისათვის. მოუსავლობა, როგორც ეს რამდენიმე წელიწადია შემთხვევია, აღარ ახსოვთ მცხოვრებთ და ახლა მათი სრული ყურადღება მიქცეულია საქონლის ჭირზე, რომელმაც ამ ზაფხულს დიდად შეაწუხა კახეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებნი. საქონლის. ჭირს «კარანტინი» მოჰყვა: სენით შეპყრობილი საქონელი ხომ უცდება და ეხოცება გლეხს და საღ საქონელსაც ვერა ხმარობს თავისუფლად: ვერც ქირაზე წავა სადმე, ვერც სამუშაოდ.

მოგეხსენებათ, საქონელი ყოველთვის საჭიროა სოფლელისათვის, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ზაფხულში და შემოდგომაზე. აი სწორედ მაშინ დარჩა ცარიელი გლეხკაცი საქონლისაგან, როდესაც ფერთა-მოქცეულები ედგა გასალეწად და საქმე მეტად გაუჭირდა, რადგან თითო კალოს გალეწვაში (ცხენებით) 3 — 4 მან. აძლევდნენ, რამაც, ცხადია, საგრძნობლად დააქვეითა წელს გლეხკაცის ოჯახი. შემოდგომაზე, ცოტა არ იყოს, გამოღმა მხარეს (ურიათუბანი, შაშიანი, კალაური, ვაჩნაძიანი და სხვ.) შესწყდა საქონლის ჭირი. «კარანტინიც» ზოგიერთ სოფლებში მოსპეს, გლეხკაცს ბორკილი აეხსნა და თავისუფლად მოძრაობა და მუშაობა დაიწყო. მაგრამ უცებ ამ მოულოდნელმა სენმა ეხლა გაღმა მხარეს იფეთქა. ნოემბრის შუა რიცხვებში გაჩნდა საქონლის ჭირი ყვარელსა და შილდაში. თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ სასტიკი ზომები იქმნა მიღებული, მაგრამ მაინც ყვარელში 18 ნოემბრიდან დახოცეს სატკივრიანი საქონელი 13 სული და შილდაში 22 ნოემბრიდან 8 სული.

კვირას, 3 დეკემბერს, თელავის საკრებულო ტაძარში, თელავის სცენის მოყვარეთა მეთაურობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი აწ განსვენებულ კნ. ბარბარე ავალიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილ იქმნა დეკანოზ მ. ხელაშვილის და თელავის სასულიერო სკოლის მასწავლებელ ბერის დავითის მიერ. წირვის წინ მამა დავითმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოჰხატა სცენის გავლენა და მნიშვნელობა ხალხზე და კნ. ბარბარეს მოღვაწეობა. პანაშვიდზე გალობდა თელავის სობორის სამრევლო სკოლის მოსწავლეთა ხორო.

ქუთაისი. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა საბჭომ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია სამოქალაქო სკოლის თხოვნას და დაუთმო მას ნახევარი ქალაქის მოედნისა მესხეთის ქუჩაზე, რასაკვირველია, იმ შემთხვევისათვის, თუ სკოლის შენობა იქნება იქ აგებული. ეხლა საჭიროა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ენერგიულად შეუდგეს საქმეს და შეასრულოს თავისი დაპირება.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსი იყო გუშინ საბჭოს კრებაზე კომისიის მოხსენება ქუთაისში საშუალო სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ, საბჭომ გულ-დასმით მოისმინა ვრცელი და მშვენივრად შედგენილი მოხსენება კომისიისა და დაადგინა — მიღებულ იქმნას ყოველივე მუხლი კომისიის მოხსენებისა და ეთხოვოს მინისტრს ნებართვა ქუთაისში საშუალო სამეურნეო სკოლის გახსნისა სხვა და სხვა ტეხნიკური განყოფილებებით (სამჭედლო, სადურგლო და სხ). ამასთანავე საბჭომ სთხოვა კომისიის წევრებს, რათა მათ სიტყვიერი მოლაპარაკება იქონიონ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან ამ უსაჭიროეს საქმის შესახებ. საინტერესოა ის ცნობები, რომელნიც კომისიას აქვს მოყვანილი თავის მოხსენებაში: ქუთაისის გუბერნიაში ითვლება 1.048.940 მცხოვრები, ამათ შორის 1.4°/₀ თავადებია, 5,3°/₀ აზნაურები, 4,8°/₀ სასულიერო წოდებისანი, 4,3°/₀ მოქალაქენი, 1,3°/₀ ვაჭრები, 84°/₀ გლეხნი და 1,6°/₀ ხიზნები; ასეთ გუბერნიაში არ არსებობს სამეურნეო და ტეხნიკური სკოლები და მოზარდ თაობას შეძლება არ აქვს შეიძინოს საჭირო ცოდნა. ყოველივე ამან გამოიწვია ქონებრივი დაქვეითება ამ გუბერნიისა, მამულები იყიდება და გირავდება: 1889 — 1895 წლების განმავლობაში ნოტარიუსის წესით გაიყიდა 15975 დესიატინა მიწა და დაგირავდა სხვა და სხვა ბანკებში 37475 დესიატინა თავად-აზნაურთა მამულებისა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, წარმოადგენს სამწუხარო მოვლენას და მოითხოვს დაუყონებლივ შველას. ამიტომაც დაადგინა საბჭომ ერთხმად — მიეცეს მომავალ სკოლას შენობისათვის საჭირო ადგილი, ქვა, და ქვიშა უფასოდ; ამავე საქმეს მოხმარდება ის 25000 მანეთიც, რომელიც შენახულია ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ხალხში ტეხნიკურ ცნობის გასავრცელებლად. ამას გარდა ყოველ წლივ ამ სკოლისათვის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნება ორ-ორი ათასი მანეთი.

ამავე კრებაზე მოხსენდა საბჭოს წინადადება ს. ბ. თოფურიასი გამგეობის წევრის ა. მ. გაბაშვილის დაჯილდოების შესახებ. «აგერ ოცმა წელმა განვლო მის შემდეგ, ამბობს ბ. თოფურია თავის მოხსენებაში, რაც ა. გაბაშვილმა პირველად დაიწყო მოღვაწეობა ჩვენ ქალაქში და ამ ოცი წლის განმავლობაში ის პატიოსნურად ასრულებდა თავის მოვალეობას; ეხლა ის ანებებს თავს ქალაქის სამსახურს, და ჩვენ ვალდ-

ბულნი ვართ მადლობის გარდა ჯილდოც მივცეთ მას, რადგანაც პენსიის დანიშვნა ჩვენ არ ძალ-გვიძს, საბჭომ ერთხმად დაავალა გამგეობის მადლობის გამოცხადება და, 26 ხმის უმეტესობით 2 წინააღმდეგ, დაადგინა— მიეცეს ა. მ. კაბაშვილს 1200 მანეთი. სასურველია ეს გარდაწყვეტილება მოყვანილ იქმნას სისრულეში და არ დარჩეს მხოლოდ გარდაწყვეტილებად, რაც არა ერჯერ ჩაუდენია ჩვენი ქალაქის გამგეობას რაღაც მიზეზების გამო.

4 დეკემბერს გარჩეულ საქმეთა შორის ყურადღების ღირსია აგრეთვე ქალბატონი ე. ი. ნიკოლაძის თხოვნა. ქუთაისში არსებობს ინტელიგენტთა პატარა ჯგუფი, რომელიც დრო გამოშვებით ჰმართავს სახალხო წარმოდგენებს. რადგანაც ამ ჯგუფს არ აქვს საკუთარი შენობა სახალხო წარმოდგენებისათვის, იგი იძულებულია ისარგებლოს ქალაქის თეატრით. ქალაქი კი თხოულობს 35 მან. ერთ ღამეში. სახალხო წარმოდგენებისათვის ეს ხარჯი მეტად სამძიმოა, რადგანაც შემოსავალი ამ საღამოებიდან არ აღემატება 50 მან. და ხარჯი კი, თეატრის ქირის გარდა, 35—45 მანეთამდე ადის. ამ გაჭირვებულ მდგომარეობამ მიაცემინა ქ. ნიკოლაძეს თხოვნა თეატრის უფასოდ დათმობის შესახებ. ქალაქის გამგეობამ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა, რადგანც, იმის ფიქრით, სახალხო წარმოდგენები მეტი ბარგია ქუთაისისთვის. საბჭომ-კი დაუთმო სახალხო წარმდგენების მმართველებს თეატრი ოც მანეთად. ნუ თუ ქალაქს არ შეეძლო დაეთმო თეატრი უფასოდ თვეში ერჯერ და არ აეღო ოც-ოცი მანეთი ხალხის იმ მოყვარეთაგან, რომელნიც შრომობენ, იხარჯებიან და აწვდენენ ხალხს სულის საზრდოს?! აქ ფულის უქონლობით გამართლება არ შეიძლება. ქალაქი შოულობს 500 მან. კლუბის შენობის რაღაც გასამშვენიერებლად და გაუჭირდა მას ათი თუმანი ამისთანა საქმისთვის, როგორიც არის სახალხო წარმოდგენები! (ღამეში დაეხარჯება ქალაქს თეატრისთვის 8—9 მან.) არა, აქ სულ სხვა მიზეზია; სახალხო წარმოდგენები ქუთაისში, ბევრის აზრით, მეტი სილამაზეა.

დაბოლოს იმ საქმეთა შორის, რომელნიც ორშაბათს განიხილა ქუთაისის საბჭომ, საყურადღებოა თხოვნა რამდენიმე თავლის მეპატრონეთა. მაისში, როდესაც ჟამის და ხოლერის გამო უფრო დიდი შიშიანობა იყო, ქუთაისის სანიტარული კომისსია მეტად სასტიკ ზომებს დებულობდა. ამ საქმემ ისე გაიტაცა ჩვენი სანიტარული კომისსია, რომ მან მალე გამოსცა ბრძანება—დაიხუროს ყველა თავლები და გარდატანილ იქმნას ქალაქის გარეთო. აი ეს განკარგულება კომისსიისა იცნო საბჭომ უკანონოთ და გააუქმა რადგანაც ამ გვარი განკარგულებების უფლება ეძლევა მხოლოდ ქალაქის საბჭოს და არა იმის აღმასრულებელ ორგანოს—სანიტარულ კომისსიას.

დ. მ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

7 დეკემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, ხელმწიფე დედოფალი მარია თეოდორის ასულისა და საიმპერატორო გვარეულობის წევრთა თანადასწრებით გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ გამართულ იქმნა საუზმე. იმავე დღეს ყველა სატახტო ქალაქის ტაძრებში გარდაიხადეს წირვები და სამადლობელი პარაკლისები, რომელთა დროს წარმოითქვა მრავალ-ჟამიერი ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე-დედოფლების და ხელმწიფის გვარეულობისათვის. წმიდა ისაკის საკრებულო საკათედრო ტაძარში წირვა გარდაიხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ. მისი უდიდებულესობის ბედნიერად განკურნების გამო გარეშე საქმეთა სამინისტროს ეკკლესიაში, სამინისტროს მოხელეთა თანადასწრებით გარდაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. დიდებულად გარდახდილ იქმნა პარაკლისები ხელმწიფე იმპერატორის განკურნების გამო მოსკოვში, ვილნოში, კოვნოში, ნოვო-ჩერკასკში, ნოვგოროდში.—პარიზში, ვენაში, სოფიაში და ბუდა-პეშტში ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეობის გამო დიდებულად გადახდილ იქმნა პარაკლისები.

ამსტერდამი. კრიუგერი მოვიდა აქა; სადგურის სამეფო ოთახში მას მიეგებნენ მოხელენი, საქალაქო საბჭოს წევრნი, ორანჟეს რესპუბლიკისა და ტრანსვაალის კონსულები.

პეკინი. ვალდერზეემ გამოსცა ბრძანება ამ ბრძანებით მან პეკინის ახლო ოლქების ყურის გდება მიანდო მოკავშირეთა ცალ-ცალკე რაზმებს. მთავარ-სარდალი ამბობს თავის ბრძანებაში, რომ პროვინცია შანსის ჩრდილოეთით იმყოფება ჩინეთის ჯარის მოზრდილი რაზმი, მეორე რაზმიც სამხრეთისაკენ არის; მით მაინც ამ სუსხიანი ზამთრის განმავლობაში იგი არ ელის არავითარ თავდასხმას ჩინელების მხრივ. მაგრამ, რადგანაც იმ ოლქებში, რომლებსაც მოკავშირენი უყურადღებოთ სტოვებდნენ, გროვდებოდნენ ყაჩაღები და „დიდი მუშტები“. ამიტომ მთავარ სარდალს ჰსურს, რომ მოკავშირეებმა დახმარება გაუწიონ და მრავალი პატარა რაზმები გაგზავნონ ცალ ცალკე ოლქებში.—ხვალ ელჩებს თათბირი ექმნებათ.

ლონდონი. რობერტსის დაბრუნების გამო განზრახული სამადლობელი პარაკლისის გადახდა წმიდა პავლეს ტაძარში აღარ მოხდა.

პეკინი. ცინმა და ლიხუნჩანგმა დაარწმუნეს პიშონი, რომ ჯარების მოძრაობას ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე, რაზედაც ამას წინად ჩიოდა ელჩი, არა აქვს მნიშვნელობაო; ჯარები მხოლოდ ყაჩაღების წინააღმდეგ გაიგზავნენო. ჩინეთს,—სთქვეს მათ,—სულაც არა სწადიან ხელმეორედ გააძნელოს საქმე სწორედ იმ დროს, როდესაც ზავზედ მოლაპარაკება უნდა დაიწყოსო“.

პეკინი. როგორც ისმის, ბრიტანიის წინადადება, რომ ჩინეთთან მიწერილი ნოტის პირველი სიტყვები შეიცვალოსო, საზოგადოთ მიღებულ იქმნა ყველა სახელმწიფოებისაგან. რუსეთი და იაპონიაც თანხმანი გახდნენ; როგორ შეხედავს მას შეერთებული შტატები,—ჯერ არ გამორკვეულა. მაგრამ ელიან, რომ ისიც თანახმა გახდებაო. ინგლისის წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა „აუცილებელი“ წაიშალოს და მის მაგიერად ჩაემატოს განცხადება, რომ პეკინიდან და პროვინცია ჩილიდან არ გავლენ მოკავშირეების ჯარები, სინამ ჩინეთი არ შეასრულებს მოკავშირე მთავრობათა მოთხოვნებს. გერმანიის ელჩი მხურვალედ იცავდა ბრიტანიის წინადადებას. ამნაირად შეცვლილ ნოტას უნდა დაუყოვნებლივ ხელი მოაწერონ, და მერმე, სამი ოთხი დღის შემდეგ ნოტას ჩააბარებენ ჩინეთის რწმუნებულებს.

პეკინი. ტიანძინსა და პეკინს შუა 5 დეკემბრიდან დაწყებული, ყოველდღე სისტემატიურად ორსავ მხარეზე ივლის თითო მატარებელი მგზავრთათვის.

ვაშინგტონი. ჩინეთის საკითხში ინგლისი იმ აზრისა იყო, რომ ჩინეთთან მიწერილ ნოტაში სიტყვა „აუცილებელი“ ნუ ჩაიწერებაო; ტელეგრაფის შეცდომის გამო, თუ შიფრი ვერ ახსნეს სწორედ, ამ ბოლო დროს ინგლის უფიქრნია, ვითომ შეერთებულს შტატებს ჰსურდეთ, რომ ეს სიტყვა უსათუოდ იყოს დატოვებულიო. ხანგრძლივი აწონ-დაწონვის შემდეგ, ინგლისმა თანხმობა გამოაცხადა, რომ ხსენებული სიტყვა დატოვებულ იქმნასო, მაგრამ შეერთებული შტატები კი ამ სიტყვის წინააღმდეგი იყვნენ სწორედ. ამ ორ სახელმწიფოს შორის ამ ჟამად გაცხარებული მიწერ-მოწერა და აზრების გაზიარებაა გამართული; შეერთებული შტატები სცდილობენ, რომ ნოტაში უსათუოდ წაიშალოს სიტყვა „აუცილებელი“ და საზოგადოდ აუცილებლობაზე ლაპარაკიც არ იყოს, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე გამოდგა: თუმცა ინგლისმა, წინაამდეგ თავისი პირვანდელი აზრისა მიიღო სიტყვა „აუცილებელი“, ხოლო ეხლა კი თითქოს თვითონაც ჰკუამიმოსდის ეს სიტყვა.

ბრიუსელი. სამოციქულო მისსიამ მიიღო დღეს დეპეშა აღმოსავლეთ მონგოლიის სამოციქულო ქორ-ეპისკოპოზისაგან. დეპეშა გამოგზავნილია ვლადივოსტოკიდან 5 დეკემბერს და მასში ნათქვამია, რომ ის ოლქი, რომელშიაც იმყოფებოდა ბელგიელი მისსია, სრულებით აკლებულია; ეპისკოპოზი და 10 ბელგიელი მისიონერი და ჩინელი მღვდელი და 300 ქრისტიანე გადარჩინეს სიკვდილს რუსის ჯარებმა გენერალი ცერპიცკის უფროსობით.

კონსტანტინეპოლი. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გადაიხადეს წირვა, რომელსაც დაესწრნენ ელჩი, საელჩოს წევრები, მთავარი კონსული, რუსის სტაციონერი „დონეცი“-ს ოფიცრები, რუსის ახალშენის წევრები, სერბიისა, საბერძნეთის და ჩერნოგორიის წარმომადგენელნი, ბოლგარიის აგენტი, მსოფლიო და სომხის საპატრიარქოების დელეგატები. წირვის შემდეგ რუსის საელჩოში იყო გამართული დარბაზობა. ელჩმა წარმოსთქვა სადღეგრძელო იმ ხელმწიფეებისა და მთავრებისა, რომლების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ იქ და შემდეგ ჩერნოგორიის მთავრისა: სულთანის და პორტის დელეგატებმაც შემდეგ ამისა მოულოცეს ელჩს ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეობა.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ ირწმუნება, რომ ოფიციალურ წრეებში გაზვიადებულად მიაჩნიათ ის ცნობა, ვითომ კაპის ახალშენში 3000 ბური გადასულიყოს და რომ დევეტს 4500 კაცი ჰყავდეს. არა ჰგონიათ, რომ დევეტს 3000 კაცზე მეტი ჰყავდეს. ცნობა იმის შესახებ, ვითომ დევეტის დევნას თავი გაანებესო, არა სჯერათ, მაგრამ ამბობენ, რომ იქნება ჯარის ერთი ნაწილი კი დაედევნა იმ ბურებს, რომლებიც შეცვივდნენ კაპის ახალშენში და რომლების რიცხვიც არ აღემატება 700.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

პეტერბურგის ბირჟა 6 დეკემბერს.

	მყიდველი	გამყიდველი	გარიგება
	მ ა ნ	ე თ	ი.
4% სახელმწიფო რენტა	—	—	96¼
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅝	—	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	96	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	338
5% მეორე შინაგ. სესხის მომგ. ბილ. 1866 წ.	—	—	286
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	216
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—	—	87
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ.	92½	—	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	86¼	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	101½	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	92½	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	—	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	86	—

ნიხრი

ხორცი ძროხის	1 გ.	8½ კ.
სუკი	»	15 კ.
» ცხვრის	»	8½ კ.
» ღორის	»	10 კ.
» კამეჩისა	»	5 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთ	»	15 კ.

(ძროხის და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა	I	ხარ.	1	გირ.	5 კ.
» »	II	»	»	»	3½ კ.
» »	III	»	»	»	3 »
იგივე თორნისა	I	»	»	»	5 »
» »	II	»	»	»	4 »
» »	III	»	»	»	3½
ლავაში ჯვ. მამ.	I	»	»	»	6 »
» »	II	»	»	»	4 »

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „დამონებულნი“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაფართოვებულის ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალის, მუდმივის განყოფილების შემოღება და მით მკითხველებისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავი მოღვაწეთა (ევროპის, რუსეთისა და ჩვენის) სურათები და მათი ბიოგრაფიები.

გაზეთი წლიურად ღირს ტფილისში 7 მანეთათ, ტფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით ტფილისში 3 მ. 50 კ., ტფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თ-თო ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიანთ წლის ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს (დროებით, სანამ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კარპე მოდებაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

(შ. 5—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Декабря 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.